



]

საქართველო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 2886
05/08/2016

2886-01-4-201608051415



ქალაქ ქუთაისში, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე სუბიექტებისათვის საარჩევნო ბეჭდითი სააგიტაციო მასალების /პლაკატების/ გასაკრავი ადგილების გამოყოფისა და იმ შენობა-ნაგებობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ, სადაც შესაძლებელია ჩატარდეს წინასაარჩევნო კამპანია /აგიტაცია/“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 13 ივნისის №1975 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან გადმოგზავნილი თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისიის 2016 წლის 27 ივლისის რეკომენდაციის გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1.შეტანილ იქნას ცვლილება „ქალაქ ქუთაისში, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე სუბიექტებისათვის საარჩევნო ბეჭდითი სააგიტაციო მასალების /პლაკატების/ გასაკრავი ადგილების გამოყოფისა და იმ შენობა-ნაგებობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ, სადაც შესაძლებელია ჩატარდეს წინასაარჩევნო კამპანია /აგიტაცია/“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 13 ივნისის №1975 ბრძანებაში, კერძოდ მე-4 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.წინამდებარე ბრძანების მე-3 პუნქტში მითითებულ მისამართებზე განთავსებულ სტენდებზე თითოეულ საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას არა უმეტეს 4 ცალი საარჩევნო პლაკატი ზომით, არა უმეტეს, სიგრძე 60 სმ, სიგანე 42 სმ (A2 ფორმატი).“

2.ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალეზ პირადად,

3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში / ვ. კუპრაძის ქ.№11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

შოთა მურღულია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი